ბრძანება:**ბ62. 622503010**
თარიღი:**30/01/2025**

ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) პრივატიზების შესახებ ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) პრივატიზების შესახებ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“ მე-2 მუხლის ,,ნ"-ქვეპუნქტის მიხედვით, ვადაგაგრძელებული აუქციონი არის აუქციონი, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება იმავე პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-2 მუხლის ,,ნ"-ქვეპუნქტის და მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 05 აგვისტოს №გ-63.63242184 განკარგულებისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 30 იანვრის №08-622503098 მოხსენებითი ბარათის მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) პრივატიზება განხორციელდეს ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 18000 (თვრამეტიათასი) ლარი.

1.3. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

1.4. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 9000 (ცხრაათასი) ლარის ოდენობით.

1.5. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი